ა(ა)იპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება

31.10.2012 № 139

თბილისი

დოქტორანტურაში მიღების გამოცხადებისა
და 2012/2013 სასწავლო წლის პირველი
სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ’’ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის, სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულებისა და აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ივნისის № 697 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკრედიტებულ სადოქტორო პროგრამებზე 2012/2013 სასწავლო წლისათვის;
2. საბუთების მიღება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ სადოქტორო პროგრამების შესაბამის ვაკანსიებზე განხორციელდეს 2012 წლის 2 ნოემბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით;
3. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთა გასაუბრება დროებით საფაკულტეტო კომისიებთან ჩატარდეს 15-16 ნოემბერს;
4. ჩარიცხვა დამთავრდეს 2012 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით;
5. 2012/2013 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სასწავლო პროცესი დოქტორანტურის სწავლების ყველა წლის სტუდენტისათვის დაიწყოს 2012 წლის 19 ნოემბერს, სააუდიტორიო მეცადინეობები ჩატარდეს 2013 წლის 2 მარტის ჩათვლით (იხ. დანართი 1);
6. პირველი შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს მე-6 სასწავლო კვირაში, 2012 წლის 24 დეკემბრიდან 29 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო მე-2 შუალედური გამოცდა (ტესტირება) – მე-12 სასწავლო კვირაში, 2013 წლის 4 თებერვლიდან 9 თებერვლის ჩათვლით (იხ. დანართი 1);
7. შუალედური გამოცდები (ტესტირებები) ჩატარდეს მეცადინეობებისაგან თავისუფალ დროს (იხ. დანართი 1);

8. დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2013 წლის 4 მარტიდან 19 მარტის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 20 მარტიდან 30 მარტის ჩათვლით (იხ. დანართი 1).
9. არდადეგები დაიწყოს 2013 წლის 20 მარტს;
10. სემესტრის ბოლოს, არაუგვიანეს დამატებითი გამოცდების ვადის ბოლო დღისა, სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი აკადემიურ დეპარტამენტში ელექტრონული უწყისის (იხ. დანართი 2) ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. დეპარტამენტის სპეციალისტი მოახდენს უწყისის რეგისტრაციას და არსებული წესის მიხედვით გადასცემს დეკანატს;
11. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე);
12. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში *ლ. კლიმიაშვილი*

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი *ბ. მაისურაძე*

*დანართი 1*

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
## დოქტორანტურის 2012/2013 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სასწავლო გრაფიკი

| სწავლების საფეხური | 19-24 ნოემბერი | 26 ნოემბერი - 1 დეკემბერი | 3-8 დეკემბერი | 10-15 დეკემბერი | 17-22 დეკემბერი | 24-29 დეკემბერი | 31 დეკემბერი - 5 იანვარი | 8-12 იანვარი | 14-19 იანვარი | 21-26 იანვარი | 28 იანვარი - 2 თებერვალი | 4-9 თებერვალი | 11-16 თებერვალი | 18-23 თებერვალი | 25 თებერვალი - 2 მარტი | 4-9 მარტი | 11-16 მარტი | 18-19 მარტი | 20-23 მარტი | 25-30 მარტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კვირა | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | XIII | XIV | XV | XVI | XVII | XVIII | | XIX |
| დოქტორანტურა | სასწავლო კვირები | | | | | სასწავლო კვირა, I შუალედური გამოცდები (ტესტირებები) | სასწავლო კვირები | | | | | სასწავლო კვირა, II შუალედური გამოცდები (ტესტირებები) | სასწავლო კვირები | | | სესიები (დასკვნითი გამოცდები) | | დამატებითი გამოცდები, არდადეგები | | |

დანართი 2

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## ........................................ ფაკულტეტის

## № ....... აკადემიური ჯგუფის დოქტორანტის/დოქტორანტების სასწავლო კურსის შეფასების ელექტრონული უწყისი № ....

სწავლების წელი: ☐ სემესტრი: ☐ სასწავლო წელი: ☐

სასწავლო კურსის დასახელება:

წამყვანი პროფესორი:

ECTS კრედიტი: ☐

| № | გვარი, სახელი | კვირის № | | | | | საბოლოო შეფასება, ქულა: მაქსიმალური/გამსვლელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | 12 | | 16, 17 | 18, 19 | |
| | | შუალედური შეფასებები, ქულა | | სულ შუალედური გამოცდები, ქულა | დასკვნითი გამოცდა, ქულა | დამატებითი გამოცდა, ქულა | |
| | | I შუალედური გამოცდა (ტესტირება) | II შუალედური გამოცდა (ტესტირება | | | | |
| | | 30 | 30 | 60 | 40 | 40 | 100/51 |
| 1 | | | | | | | |
| 2 | | | | | | | |
| 3 | | | | | | | |
| 4 | | | | | | | |
| 5 | | | | | | | |
| შენიშვნა | | | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| წამყვანი პროფესორი: | ინიც. და გვარი | ხელმოწერა | თარიღი | | ფაკულტეტის დეკანი |
| დეპარტამენტის უფროსი | ინიც. და გვარი | ხელმოწერა | რეგ.№ | თარიღი | ინიც. და გვარი ხელმოწერა |

*დანართი 3*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

........................................... ფაკულტეტის

# № ....... აკადემიური ჯგუფის დოქტორანტის/დოქტორანტების კვლევითი კომპონენტის/სემინარის შეფასების ელექტრონული უწყისი № ....

სწავლების წელი: ☐ სემესტრი: ☐ სასწავლო წელი: ☐

კომპონენტის დასახელება:

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ECTS კრედიტი: ☐

| № | გვარი, სახელი | კვირის № | | | | | საბოლოო შეფასება, ქულა: მაქსიმალური/გამსვლელი | სემინარის რიგითი № |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | 12 | სულ შუალედური გამოცდები, ქულა | 16, 17 | 18, 19 | | სემინარის შეფასება, ქულა: მაქსიმალური/გამსვლელი |
| | | შუალედური შეფასებები, ქულა | | | დასკვნითი გამოცდა, ქულა | დამატებითი გამოცდა, ქულა | | |
| | | I შუალედური გამოცდა (ტესტირება) | II შუალედური გამოცდა (ტესტირება | | | | | |
| | | 30 | 30 | 60 | 40 | 40 | 100/51 | 100/51 |
| 1 | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | |
| *შენიშვნა* | | | | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სამეცნიერო ხელმძღვანელი | *ინიც. და გვარი* | *ხელმოწერა* | *თარიღი* | | ფაკულტეტის დეკანი |
| დეპარტამენტის უფროსი | *ინიც. და გვარი* | *ხელმოწერა* | *რეგ.№* | *თარიღი* | *ინიც. და გვარი* *ხელმოწერა* |